ვინც შეიტანს ჩვენს ამ საქმეში (რელიგიაში) რაიმე სიახლეს, რაზეც არ იყო ჩვენი ბრძანება - ის იქნება უარყოფილი

მორწმუნეთა დედის, უმმ აბდულლაჰ აიშას (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) სიტყვებით, რომელმაც თქვა: ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც შეიტანს ჩვენს ამ საქმეში (რელიგიაში) რაიმე სიახლეს, რაზეც არ იყო ჩვენი ბრძანება - ის იქნება უარყოფილი». ხოლო იმამ მუსლიმის გადმოცემაში: «ვინც გააკეთებს საქმეს, რომელზეც ჩვენი მითითება არ არის, ის უარყოფილი იქნება».

[رواه البخاري ومسلم] [სანდო (საჰიჰ)]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც გამოიგონა ახალი რამ რელიგიაში ან გააკეთა ისეთი საქმე, რაზეც არ არის არავითარი არგუმენტი ყურანიდან და სუნნადან, ის მიბრუნებული იქნება თავის პატრონთან (ჩამდენთან) და არ იქნება მიღებული ალლაჰის წინაშე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66514

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee